ეროვნული ბიბლიოთეკა
F 89 / 1869

სასოფლო გაზეთი

ГАЗЕТА ДЕРЕВНЯЯ

ГАЗЕТА ДЕРЕВНЯЯ

ГАЗЕТА ДЕРЕВНЯЯ

ყვით, იქნება, შენ დაგავიწყდა, რომ კაცი პირველად უნდა იყოს ქრისტიანე და მერე სამსახურის აღმასრულებელი, ანუ უმჯობეს არს, ქრისტიანობ- და სამსახურის აღსრულება ისე განუყოფელად უნდა იყოს შეერთებული შენში, რომ ერთი მეორეს დააშვენებდეს.

უკეთუ შენ ხარ მასწავლებელი, ესე იგი გუყანან მოწაფენი, რომელთა შენ ასწავლი ანუ წიგნსა, ანუ რომელსამე ხელობასა, მაშინ უფრო ფიცხელი და პირ მოუთნელი ანგარიში უნდა მისცე შენ სინიდისსა. რა სახით ასრულებდი ამ მოვალეობას წასრულის წლის განმავლობაში? ბახსოვდა შენ ყოველთვის, რა დიდი საქმე არის მოწაფის გაზრდა, რა მძიმე პასუხს მოითხოვს ღმერთი მასწავლებლისაგან? მასწავლებელმა მარტო წიგნი, ანუ ხელობა კი არ უნდა ასწავლოს მოწაფესა; არამედ უწინარეს ყოველთა პატიოსნება, შრომის მოყვარეობა, ერთი სიტყვით, ქრისტიანობა.

მოკლედ, ვინც გინდა იყო შენ, რომელსაც გინდა საქმეს ასრულებდე, ამ ახალის წლის პირველის დღეს ანგარიში მიეც შენ თავსა, რა სახით ასრულებდი შენ საქმეს, ქრისტიანულად, ანუ მსგავსად წარმართთა, რომელთა ახსოვდათ მხოლოდ ერთი გარეგანი კერძო საქმისა, ესე იგი მარტო თავის მოყვარება და წუთი სოფლის სარგებლობა, ქრისტიანე კაცს უნდა ახსოვდეს, რომ ყოველს, თვით უმცირესს საქმეს აქვს ზნეობითი კერძო. ქრისტიანემ, რომელსა ახსოვს ქრისტე იესოს სწავლა, ყოველი თავისი საქმე ისე უნდა წაიყვანოს, რომ იგი შეეწეოდეს ღვთის სასუფევლის გაერცელებასა კაცთა შორის.

ვეეედროთ ღმერთსა, რათა მომავალ წელსა ჩვენ ყოველთა მოგვცეს მშვიდობა და წარმატება ყოველთა პატიოსანთა ჩვენთა საქმეთა შინა და რათა უმეტესად ყოველთა შინა საქმეთა ვასრულებდეთ მისსა ღვთიურსა ნებასა. ამინ.

ბაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა.

(დროებიდგან)

„სასოფლო გაზეთის“ მკითხველებს!

ღმერთმან მრავალს ახალწელიწადს დაგასწროთ! ბავლილმა ბრწყინვალე დღესასწაულებმა ცოტა ხნობით შესწყვიტეს ჩვენი საუბარი მკითხველებთან. იმათვე დაასრულეს ძველი წელიწადი და ერთი წლით უხნიერესნი გავხდით. მაგრამ ხნის მომატებით ჭკუა-გონებაც შეგვემატა თუ არა?— რიგია ასე უნდა მოხდეს, მაგრამ ბევრი მიზეზები არღვევს ამ ბუნების კანონსა.

კაცის ცხოვრებაში ტანისა და ჭკუა-გონების ზრდა ხნიერებას არ მისდევს. როგორც მოსავლისა, იმისი ზრდაც ამიდზეა დამოკიდებული. ცუდს გარემოებას გაზრდის მაგიერათ შეუძლია კიდეც დაჭკნოს. სოფლის მუშას კარგათ აქვს გამოცდილი კარგი და ცუდის წელიწადის მოქმედება მოსავალზე. ხანდახან სამი-ოთხი წელიწადი მადლიანი მოდის: თავ-თავის დროს წვიმაც არის, დარიცა. ამისთვის მოსავალიც ფრთებს შეისხამს ხოლმე: პურიც მშვენიერია, ვენახიც ძალიან მოსხმულია, ბუნებასაც ეტყობა, რომ მაძღარია, მცენარე ჰხარობს, ბალახი ბევრია; საქონელიც სუქდება და წარმატებაშია. ერთი სიტყვით მადლიანი წელიწადი სულიერს და უსულოს ყველას მომეტებულათ ზრდის და ახარებს. მაგრამ შემდეგ მადლიანი წლებისა გამოერევა უნაყოფო წელიწადიცა. თავის დროზე არც წვიმა მოდის, არც დარი; ხან გოლვა ამეტებს, ხან წვიმა. ბოლოვანობის დროს მეტისმეტი სიცივისაგან ხეს ცოცხალი უყვითლდება, ბალახი [illegible] ბევრი მშეერდება, საქონელ ცოტა აქვს; იმის ხოლას ვინლა ჩვენ ნეტავი იმისი ტანი ერთ დონაზე დადგეს და არ მოკლოს. ნამუშევარს წვიმა აკლია და ამისგამო ჩამქრალია. ბოლოვანობის შემდეგ დგება ნესტიანი ამიდი. მომეტებული წვიმის გამო ხე-დაბალახი ჭკნება, საქონელს ნესტიანობით უჩნდება ავათმყოფობა და ხოცება. სულიერი და უსულო აღარ ჰხარობს, არამედ ლონდება და სიცოცხლეც უქრება.

როგორც სულიერი და უსულო კარგი ჰაერისაგან იზრდება და ცუდი ამიდისაგან ხდება, ჭკნება, კაცის გონებაც ეგრე იქცევა. იმასაც კარგი და ცუდი ამიდი აქვს, აი, ამას ჩვენ ეეტყვით გარემოებასა. თუ კაცის ცხოვრებას და იმის ჭკუა-გონებას კარგი გარემოება დაუდგა, როგორც ყოველი მოზარდი, კაცის ჭკუა-გონებაც ისე იხსნება და იმის ცხოვრებაც წარმატებაში შედის. აგრეთვე ცუდი გარემოებისაგან ჭკუა-გონებაც ბნელდება და მაშინ კაცის ცხოვრებაც აუტანელია. ახლა ეს უნდა ვიკითხოთ, რა არის კარგი და ცუდი გარემოება ჭკუა-გონების მზრდელი, ან დამჭკნობი. ამისი ახსნა თვითონ მკითხველისათვის მიმინდვია. ბანა ოტა არის გაჭირება ხალხის ცხოვრებაში! ბუდმ ომიანობა, ცოცვა-გლეჯა, უსამართლოებით დაჩაგვრა, ვინიცის, რამდენი ცუდ-გარემოება და გაჭირება დაადგება ხოლმე ალხსა, როდესაც იმის ჭკუა-გონების ზრდა და ცხოვრების წარმატება შეუძლებელია. ბერ სხვა ხალხებსავით, ჩვენც საკმაოთ ბევრი ცუდ და გაჭირების წლები გამოვსცადეთ, როდესაც არამც თუ ჭკუა-გონების ზრდა შეეძლებოდა, არამედ ისიც მადლობა ღმერთ რომ საკუთარი ცხოვრება და გონება შეგვრჩა და სულ არ წაგვერთო. ძლიეს ამ ბოლოსდროს ჩვენც დარი დაგვიდგა. მომეტებულიშეჭირვებისაგან თანდათან გამოვდივართ. ჩვენ მოქმედებას უფრო თავისუფლება მიეცა, აკუთარი სასოფლო სასამართლოები გვეერსა. სამართალი საზოგადოთ უკეთესი შემოვიდა, ის შეწუხება აღარ გვადგას, რომელიც ოგიერთ ბატონებისაგან ეწინ გვქონდა. ერთ სიტყვით ჩვენს შრომას მომატებული ნაყოფი მიეცა ჩვენსავე სასარგებლოთ.

წინათ ყველა [illegible] ორი საქმე უშლიდა ჩვენს წარმატებას: რასაც ოჯახში გააკეთებდი და გასოფლიდ[illegible] არ შეგეძლო გეთქვა, რომ ეს ჩემია. ერის დღეს მოგადგებოდა შენი პატრონი და ეტყოდა: მე, რაც გაგაკეთებია მომეცით, [illegible] რაც გაგიზრდია, ისიც მომეცით. შენც, [illegible] ეს კეთილია, უნდა აგესრულებინა [illegible] თხოვნა. მაშინდელი წესი ეს იყო. ამას გარდ. სამართალიც ძალიან გვიან ეღირსებოდა ხოლმე კაცს და ამისთვის ბევრი ხელსაც იღებდა სამართლის შოვნაზე. ამ ჟამად ეს ორივე ცუდი დაწესებულება მოიშალა. სამართალი უფრო სწორი და უფრო ჩქარი შეიქმნა და უწინდელი პატრონობაც გადავარდა. ამის გამო ვენს ცხოვრებას მიეცა წარმატების ლონე [illegible] ცოდვაც არის რომ ამ დროთი არ ვისარგებლოთ.

ახლა გაელილს წლებს რომ თვალი გადავავლოთ, შეენიშნავთ რომ ჩვენ თვითონ საკუთრად ჩვენი თავისთვის არა შეგვიძენია რა. ეველა გაელილი წლები მთავრობის წყალობით მოუნდა ცუდი წესის შეცვლას კარგს წესზე. მაშ ღმერთმან ინებოს ეს წელიწადი მაინც გავაბედნიეროთ საზოგადო სასარგებლო მოქმედებითა. მაგრამ ჯერ ეს უნდა ვიცოდეთ, რას მიეყოთ ხელი და ამ პირველში რა უფრო საჭიროა ჩვენთვის.—ფული, მე მოგა-

ხსენებთ. სადაც უნდა მიიხედო, ყველგან შეშოგჩივიან ფული არა გვაქვს, რომ მუშაობის დროს ხელი გავიმართოთ და ჩვენი შრომის ნაყოფი თავის დროზე სრულათ მოვიმკოთო. ფულის უქონლობის გამო შრომის ნაყოფი სულ ნასესხებ ფულის სარგებელში მიდის და ჩვენ კი მშრალზე ვრჩებითო. ამისთვის ყველანი ამას უნდა ვცდილობდეთ, რომ სოფლებში თავნები გაჩნდეს, რომ ყოველს სოფლელს იმ თავნიდგან ფულის გამოტანა შეეძლოს რიგიანი სარგებლის მიცემით და არა ისეთი სარგებლით, რომ წლის განმავლობაში თავნზე თავნი მოაგებინოს, როგორც ვაჭრებმა იციან. ავიღოთ მაგალითად სოფელი საგარეჯო, სადაც ითვლება ხუთას სამოცდა ოთხი კომლი. თითო კომლმა რომ ყოველს თვეში ორ-ორი შაური გამოიღოს, ყველა კომლებისაგან ერთს თვეში მოგროვდება ხუთი თუმანი და ექვსი მანეთი; წლის გასულს ამ სოფელს ექნება საერთო ფული სამოცდა შვიდი თუმანი და ორი მანეთი. ბევრს იმავე წელიწადშიე შეუძლიან გამოიტანოს სესხათ ფული ამ საერთო თავნიდგან და მისცეს წელიწადში მანეთზე ექვსი კაპეიკი სარგებელი; ამ სახით თავნზე იმისი სარგებელიც რომ მიუმატოთ წლის გასულს თავნი სარგებლიანათ შეადგება სამოცდა თერთმეტი თუმანი. ამ რიგათ სოფელს საგარეჯოს შეუძლიან ერთი წლის განმავლობაში თავის სასარგებლოთ შეკრიბოს სამოცდა თერთმეტი თუმანი, რომელიც იქნება სოფლის ფული და დაურიგდება იმავე სოფლელებს სესხათ, რომ ყოველს გაჭირებულს ხელი გაუმართოს. ახლა ყოველი გლეხი, რომელსაც ფული სჭირდება, სესხულობს ვაჭრისაგან და, სულ რომ ცოტა ვთქვათ, თვეში თუმანზე აბაზს იხდის; ეს აბაზიც ვინღაც სხვას მიაქვს და გლეხს საუდამოთ ეკარგება. სოფლის ფულიდგან რომ ივალოს გლეხმა, თვეში თუმანზე მოუწევს სარგებლათ მხოლოდ ერთი შაური და ისიც სოფლის ფულს ემატება, რომელიც რჩება ამ გლეხისავე სასარგებლოთ. აი, რამდენი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს სოფელს სოფლის ფულმა, რომელსაც აგროვებენ სოფლელები წვრილ-წვრილათ. ამისთვის ვურჩევთ ყველა სოფლებს ამ გვარი მოკრეფით შეიდგინონ საზოგადო ფული, საიდგანაც შეეძლებოდეს ყოველს გლეხს ფულის გამოტანა და საქმე ვაჭრისაგან სასესხებლათ აღარ გაუხდეს, ამიტომ რომ ვაჭარი დიდი სარგებლის ღებით ყოველს გლეხს აღარიბებს.

ზემოთ მაგალითად მოვიყვანეთ სოფელი საგარეჯო, რომელიც გლეხზე თვეში ორ-ორ შაურის ღებით შეადგენს ერთს წელიწადს სამოცდა თერთმეტს თუმანსა. მაგრამ სამის წლის განმავლობაში, რომ თითო გლეხზე ყოველს თვეში ორი შაური იღოს. იმავე სოფელს შეუძლიან შეადგინოს ორასოცდა ექვსი თუმანი, რომელიც სრულებით საკმაოა, რომ მთელი სოფელი დააკმაყოფილოს სესხითა. ამ სახით ყოველს სოფლელს თავის კარზედ ექმნებოდა ხელის მოსაცველელი ფული, რომლითაც ერთი ორათ აქცევდა თავის შეძლებას.

როცა სოფლის ფული მოგროვდება, იმას კარგი შემნახავიც უნდა. ამისთვის მთელმა სოფლმა უნდა ამოირჩიოს ყველაზე სანდო და თავიანი კაცი, რომელსაც სოფელმა უნდა მოსთხოვოს ხოლმე ანგარიში ყოველ თვის თავზე. ამ ფულის შენახვისათვის ხაზინადარსაც ქირა უნდა. მს ქირა სასოფლო ფულის სარგებლიდგან შეიძლება დაენიშნოს.

ამას გარდა საჭიროა ყოველს სოფელში საერთო ორმოს გაკეთებაცა, სადაც ყოველ წელს მოსავლის მეოცედი, ან მეორმოცედი უნდა შეიტანოს თითოეულმა გლეხმა, და ამ ორმოდგან მიეცეს სესხათ ნამუშევარი გაჭირებულს გლეხს, ან სხვას, როცა დასჭირდეს რომ შემდეგ იმან თავის მოსავლიდგან გადაიხადოს ეს ვალი, თუ სრულად არა, ნაწილ-ნაწილად მაინცა.

ამგვარად ჯერ ყველაზე უფრო საჭიროა გლეხებისათვის საერთო თავნის მოგროვება და საერთო პურის ორმოების გაკეთება თავიანთშივე ერთმანეთის ხელის გასამართავად. ამისთანა თავდარიგით სოფელი მალე წამოიყრის ხელსა და მაშინ შეუძლიან იფიქროს შკოლების გაკეთებაზედაც, რადგან სწავლა პირველი სიმდიდრეა კაცისთვის. მცოდნე კაცი უფრო მიხვდება თავის ცხოვრების გამკეთებელს ღონისძიებას, ვიდრე უცოდინარი კაცი. რომელი სოფელიც ერთბაშათ შეიძლებს ამ სამი საქმის გაკეთებას, ის ყველაზე წინ იქნება და უფრო მალეც ელირსება შეძლებულობასა; და რომელსაც ამ სამი დიდი საქმის ერთბაშათ დაწყება არ შეუძლიან, იმან ჯერ საერთო ფული და საერთო პურის ორმოების გაჩენა უნდა დაიწყოს, რომ სოფელს ფული ღონე, მეტი შეძლება ექმნეს, შემდეგ შკოლების გახსნისათვის.

მა'მ, ძმანო, ვიბედნიეროთ ეს ახალი წელიწადი ამგვარი კეთილი საზოგადო საქმის დაწყებით და ღმერთიც ხელს მოგვიმართავს.

მშობიერი დედა—კაცისა და ახალი დაბადებულის ყურის გდება.

ბაუნათლებელს ხალხში ზოგიერთი იმისთანა ჩვეულებაა დარჩენილი, რომ იმის გამო უბედურება არ გამოილევა ხოლმე. არც ცუდი ავათ-მყოფობა, არც ავსენიანი სატკივარი და არც ჭირი იმდენს ზარალს არ შეამთხვევს ხალხის სიმრთელეს, როგორც უსწავლელობით და უგუნურობით მიღებული ცუდი ჩვეულება. ხევსურებში და ინგილოებში მშობიერი დედა-კაცი შვილის ყოლის შემდეგ რომ მძიმე ავათ შეიქმნეს, იტყვიან ახალსდაბადებულს ავი სული გვამში ჩასდგომიაო და უნდა თავისი დედა მოჰკლასო. ამის გამო სჯერათ, რომ თუ ახალი დაბადებული მოიკლა, მშობიერი დედაც მორჩებაო. რასაკვირველია, მშობიერს დედას შობის შემდეგ რომ ცოტა ოდენი გაუჭირდეს, ქმარი მაშინვე ახალს დაბადებულს მივარდება და ნიჩბით თავსა სჭრის. ვინ არ იცის, რომ დედაკაცისათვის ძალიან ძნელი ასატანია მშობიერობა. ამ დროს იმას ყოველი სახსარი თითქმის დაშლილი აქვს; იმისი ტანი ძალიან დასუსტებულია. იმ დროს მშობიერს ქალს ცოტა სიგრილეც რომ ეცეს, ისიც საკმაოა. ახლა თუ წარმოვიდგენთ ჩვენი მთიული ხალხის ცივს სადგომს და იმის დაუდევრობას, ყურის უგდებლობას, მშობიერ დედაკაცზე, მაშინ ცხადია, რომ უმეტესი ნაწილი მშობიერ დედაკაცებისა, ამ მოუვლელობისაგან ჰხდებიან მძიმე ავათ და კიდეც იხოცებიან; მაგრამ ხევსურელი და ინგილო უცოდინარობისაგამო ბრალს მოუველელობას კი არა ჰსდებს, ის იძახის „ბოროტი სულის ბრალიაო, რომელიც ახალს დაბადებულს ჩასდგომია გვამში და უნდა დედა მოჰკლასო“. ამიტომაც ჰსჭრის თავს ახალს დაბადებულსა, თუმცა ამისი ნადველი უფრო ჰკლავს საწყალს დედასა. ამ სახით უგუნური მთიული ორკეცად ზარალობს: შვილიც ელუპვის და ცოლიცა.

ხევსურები და ინგილოები მაგალითად უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო იმისთვის მოვიყვანე, რომ ესენი ჩვენი ძმები არიან, ქართველის ნათესაობა. ამ გაჭირებულს ჩვენს ძმებს რომ სხვა ჭირვება და ავი სენი თავის დღეში კარზედ არ მიადგეს, სანამდის ზემოხსენებულს ცუდს ჩვეულებას არ მოიშლიან, მანამდის იმათი მრავლობა და ნაყოფიერობა თითქმის შეუძლებელია. უსწავლელობისაგან ეს ხალხი თავის ნაყოფიერობას თავისვე ხელით აქრობს; აბა საიდგან ღა იმრავლებს ისა! ახლა მოვიყვანოთ მეორე ხალხი სვანები, რომელნიც აგრეთვე ჩვენი მოძმენი არიან, ქართველი ხალხის მონათესავე. წინათ იმათაც ჰსჭირდათ ამისთანა ცუდი ჩვეულება. ისინი არ გაიცდიდენ ქალსა. როგორც კი ქალი ეყოლებოდა დედაკაცსა, მაშინვე ამ ახალ დაბადებულს პირში ღვეღფს ჩააყრიდენ და მოჰკლავდენ. ახლაც იპოვება სვანეთში სახლობა, რომ ამისთანა ღვთის საწყენს საქმეს ჰმერებოდეს. რასაკვირველია, ხალხი აქ არ უნდა გამრავლებულიყო და მართლაც რამდენიც ათასი წლის წინათ ყოფილან, მეტნი არც ახლა არიან. უგნურობას ხალხი იმდენზე მიუყვანია, რომ თავის თავს თვითონვე უსწრაფებს სიცოცხლესა. ამ შემთხვევაში სვანებზე წინ აღარც ჩვენ წავსულვართ. რაჭაში მშობიერი დედაკაცი უწმინდურათ მიაჩნიათ და შვილის ყოლის შემდეგ დასუსტებულს დედაკაცს მაშინვე ციეს წყალში აგდებენ საბანაოთ, ვითომც განიწმინდოსო; მაგრამ მისთანა გაწმენდა შენს მტერს მიეცა, რაც იმას დაემართება ხოლმე. სუსტი დედაკაცის ტანი ციე წყალს ვერ იტანს, გაცივდება, ანთება მოსდის და ჰკვდება. არამც თუ რაჭაში ჩვენშიაც ყოველგან უმეტესი ნაწილი ხალხისა იხოცება, იმის გამო რომ ახალდაბადებულების და მშობიერი ქალის მოვლა არ იციან.

ვინ არ იცის, რომ სიცოცხლისთანა ძვირფასი კაცისთვის არა არის რა; მაგრამ ძვირფასი ნივთის პატრონმა, შენახვაც უნდა იცოდეს. ვინც თავის სიცოცხლეს უდროოთ ბოლოს მოუღებს, ის თავის მკვლელია. და თავის მკვლელს ღმერთიც უწყრება. ამისთვის ყოველი კაცი და მასთან ხალხიც უნდა ცდილობდეს თავის სიცოცხლის დაცვას და შთამომაველობის მრავლობას. ეს ჩვენ უთქმელათაც ყველას ესმის, მაგრამ ზემოთ მოყვანილი მაგალითები ამტკიცებს, რომ დაბალს ხალხში არავინ კი ისე არ ჰმოქმედებს, რომ რაცა ჰსურს, ის აუსრულდეს. უველას გვინდა დიდხნის სიცოცხლეცა და შვილით და შვილის შვილითაც სავსენი ვიყვნეთ, მაგრამ საქმით კი ვეწინააღმდეგებით ამ ჩვენს სურვილსა. ეს იმიტომ რომ არ ვიცით არც ჩვენი თავისა და არც შთამომაველობის მოვლა და ყურის გდება. ამ შემთხვევაში ყველაზე უპირველესი საჭიროება ის არის, რომ ვიცოდეთ მშობიერი დედაკაცის რიგიანი ყურის გდება და ახალგაზდობის მოვლა. ჩვენც ამ ორ საგანზე გვინდა დაწერილებით ველაპარაკოთ მკითხველსა. ჯერ უნდა დავიწყოთ და მოვთვალოთ დაწერილებით ის დარიგებანი, რომლების ასრულებაც ძალიან საჭიროა დედაკაცის ორსულობისა და მშობიერობის დროსა.

ორსულობის დროს დედაკაცი ისე უნდა იქცეოდეს, რომ იმისს სიმრთელეს და ყმაწვილისას არა გაუჭირდესრა, ყმაწვილი უნდა იზრდებოდეს საშოში ბუნებითად და იმისთანა არა შეემთხვევა რა, რომ ჯუჯაობის მიზეზი გახდეს, ჩვეულებრივათ ყმაწვილი ისე შეკავშირებულია დედის ტანთან, რომ ამის სიმრთელე ყმაწვილსაც მრთელათ ამყოფებს. ამის გამო ჯერ გამოვიკვლიოთ დედაკაცის ორსულობა და იმის გაფრთხილება.

ორსულობა ბუნების წესია და იმითი განსაკუთრებული რამ ცვლილება დედაკაცს არა ეძლევა რა. ორსულობა იმას ვერ გამოუცვლის ვერც ჩვეულებას, ვერც ხასიათს და ვერც ზნესა. ზოგიერთს დედაკაცს ორსულობაში გამოაჩნდება ხოლმე ახირებული ჩვეულება, ერთს რასმე აიხირებს, მაგრამ ამისთანა ცვლილება დედაკაცის ზნისა ორსულობის ბრალი არ არის. თუ დედა-კაცს ორსულობის წინათ ზომიერი ცხოვრება ჰყვარებია, შემდეგაც ისეთივე ეყვარება; ხოლო მადისა და გემოს გამოცვლა უზომიერობის ბრალია და არა ორსულობისა.

ბევრი ამტკიცებს, ვითომც ორსული ქალი თავის გემოს და ნდომას უნდა ემორჩილებოდესო, რაც გულმა უთხრას, ის სჭამოს და გააკეთოსო, მაგრამ ეს ტყუილია. ორსული ქალის მომატებული მადა და ახირება ბუნებითი არ არის, ეს უფრო ხასიათის სისუსტის ბრალია. და რადგან სუსტი ხასიათი ტანსაც ასუსტებს, ამისთვის ყოველს ორსულს ქალს ვურჩევთ გაამაგროს თავისი ხასიათი და შეიკრიბოს ღონე. ორსული ქალი თვითონვე უნდა ცდილობდეს თავის შეკავებასა და ვარჯისობდეს მოთმინებაში, რადგან მშობიერობას ემზადება და ეს გაჭირება მხნეთ უნდა აიტანოს. იმას დიდი მხნეობა და მოთმინება უმართებს მშობიერობის დროს.

მაგრამ ის კი სხვა არის, რაც ორსულობას ცვლილება მოსდევს დედაკაცის გვამში. უმაწვილის თან და თან დასრულებით, დედაკაცს საშოც ეზრდება, უგანიერდება, აწევა კუჭსა და ნაწლევებს და ავიწროებს იმათ. ამის გამო დედაკაცი, როგორც წინათ ისე ვეღარ ინელებს საჭმელს და ხშირად გულის რევა მოსდის. ამისთვის ვურჩევთ ორსულს ქალს, ადვილად მოსანელებელი საჭმელი მიიღოს ხოლმე. არაოდეს გასაძღომათ არ უნდა სჭამოს, არამედ სჭამოს ხოლმე ხშირად და ცოტ-ცოტა.

შიგნეულობასთან ფილტვიც შევიწროებულია, ამისთვის სისხლი ისე თავისუფლათ არ ტრიალებს ტანში, როგორც უწინ. რომ კიდევ უფრო არ შევიწროვდეს ტანში სისხლის დენა, ვიწრო ტანთ საცმელი აღარ უნდა ჩაიცვას ორსულმა დედაკაცმა,იმას განსაკუთრებით მკერდი უნდა ჰქონდეს განთავისუფლებული. ამას გარდა ორსული უნდა ცდილობდეს ხშირად სისხლის განახლებას, ამისთვის საჭიროა ხშირად ისეირნოს გარეთ წმინდა ჰაერში, სადაც სიარულთან სულთქმაც დიდი აქვს, უფრო ბევრი ჰაერი ჩადის ფილტვებში და სისხლი უკეთდება. სეირნობის დროს ძალიან არ უნდა დაიღალოს და არც ძალიან უნდა ირხეოდეს; ამისთვის ცხენით და ფაეტონით ტარებას ქვეითათ სიარული სჯობია. ორსული დედაკაცი დიდს ჯაფას უნდა ერიდოს და მძიმე ტვირთიც არ უნდა ატაროს, რადგან შეიძლება გვამი მოეშალოს. იქნება ბევრმა სთქვას, რომ ეგრე მეტის მეტი გაფრთხილებაც ტყუილიაო, რადგან დაბალს ხალხში საწყალი კაცის ცოლები ორსულობაშიაც დიდს ჯაფას ეწევიან, მაგრამ არა უჭირსთ რაო. მართალია ვინც მუდამ შრომას არის შეჩვეული, იმას უფრო არა გაუჭირდებარა, მაგრამ ამათშიაც რომ ბევრი მაგალითია გვამის მოშლისა, ესეც ცხადია. ყოველ შემთხვევაში მძიმე ჯაფა ძალიან ავნებს ორსულს დედაკაცს, რომელიც უკანასკნელს თვეებში დგას. ამას გარდა ისინი უნდა უფრთხილდებოდნენ გვამი არ გაიცივონ. თუ ქალი დაბალი ტანის არის, იმა ორსულობაში სარტყელი უნდა ერტყას, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან გვამი ძალიან წინ წამოეზდება ხოლმე.

ორსული ქალის ცხოვრება ისე უნდა იყოს მოგვარებული, რომ შრომის შემდეგ მოსვენება და ძილი საკმაო ჰქონოდეს, რომ ჯანზე მოვიდეს ხოლმე და საშოში ყმაწვილს თავისი ზრდა არ მოაკლდეს. აგრეთვე დედა-კაცი არ უნდა იყოს იმდენათ დაქანცული, რომ მსუბუქად ვერ შეიძლოს მშობიერობის ატანა. ორსული დედა-კაცი თვითონ უნდა ცდილობდეს, მუდამ მშვიდობიანათ იყოს და ჯავრი არ ძოუვიდეს. აგრეთვე იმის მონათესავენიც უნდა ცდილობდნენ, რომ არ გააჯავრონ, რადგან ნაღველსა და უეცრად შეშინებას დიდი ზ.ლმოქმედება აქვს ყმაწვილზე. ყველამ იცის, რომ ძომეტებულს გულის მოსვლას, საშინელს მწუხარებას და შიშს გვამი მოუშლია ორსული ქალისათვის. დოქტორი ესტერლენი აი, რას მოგვითხრობს ამაზე: ლანდაუს ციხე რომ აიღეს, მას შემდეგ ოთხმოცდა თორმეტი ყმაწვილი დაიბადა; იმათში ოცდა ათი ყმაწვილი სნეული გამოდგა და ერთი წლის განმავლობაში ყველანი დაიხოცნენ. რვას ავი ზნე გამოჰყვა, გონება აკლდათ და ხუთ წლამდის ყველანი დაიხოცნენ, ორი ძალ დამტვრეულები დაიბადნენ. აი, დაფეთებას როგორი ზედ-მოქმედება აქვს ორსულს ქალზე. ამბობენ, სიჯუჯავე დაფეთების გამო მოხდებაო, მაგრამ ეს მართალი არ არის. სიჯუჯავე ყმაწვილისა მაშინ წარმოსდგება, როდესაც ყმაწვილის ზრდას რაიმე დაბრკოლება მიეცემა საშოში. მეცნიერებამ კიდეც დაამტკიცა, რომ შთანაჩენი მაშინ გამოდის გონჯი, როდესაც რომელსამე მხარეზე აწვება რამე და უშლის თავისუფლათ ზრდასაო. სიჯუჯავე დროს განმავლობაში წარმოსდგება და არა უეცრად.

ბოლოს ჩვენ გვინდა მოვიყვანოთ შემდეგი სიტყვები ექიმის ბარტმანისა; „ორსული ქალი კარგს იზამს, რომ მშობიერობამდის კაცთან აღარ დაწვეს. ყოველ შემთხვევაში იგი ამ დროს სხვა დედაკაცებზე უფრო თავშეკავებული უნდა იყოს და უკანასკნელს თვეებში კი სრულებით უნდა მოერიდოს ქმარსა“.

ქრთამი.

ქრთამო, რათა ხარ ეგრე ეერაგი,
ყველა გიჩვენის, პასუხი აგი.
წინ დროებშია არა რცხვებოდნენ,
შენსა მიღებას წიგნათ ამბობდნენ; *)
მაგრამ ჩვენს დროში ჩუმი შეიქმენ,
და შენით კიდეც ბოროტსა იქმენ.
ზოგიერთ მოწმებთ ჩაუგდებ გულსა,
ქეთილ-საქმესა სწორეთა რგულსა,
შეაცვლეევინებ წაუწყმედ სულსა.
მართალს ამტყუნებ,
მტყუანს ამართლებ,
ამ ცუდს საქმესა ესრე მოქმედებ.
შენით ხარობენ კაცნი ბოროტნი
იჩაგრებიან კაცნი მართალნი,
ღირსად გპოებდით მოსპობილიყავ,
მისთვის რადგანაც ბოროტი იყავ.
ეხლაცა მძლავრობ ზოგერთს ადგილსა,
როს კაცი ჰპოებს დროსა ადვილსა;
მასა ეფიქრობდით, თუ მოკვდებოდი,
დაიმარხეოდი მოისპობოდი;
მ.გრამ კვლავ სუნთქვამ შენის სიმყრალით,
ვგონებ ცოცხლდები შენისა ძალით;
ბექადებიან ამ დროს მსაჯულნი,
საქმის მომქმედნი მართლად განმსჯელნი;
უჩინო იქმნე ამა სოფლიდგან,
მოძულებული ყოვლის კაცისგან.
სოფლის მსაჯულნო გულით ეცადეთ,
რომ არ მიიღოთ ესე სტუმარი,
მართლის მოძულე ბოროტ-მოყვარე,
აეისა მთესი სულ იგი არი.
მიგიზიდავსთ თქვენ, ადამატსა ჰგავს,
მაცთური არის შეგაყვარებსთ თავს.
შენის ეშხითა ქრისტე გაჰყიდა
იუდამ;—გპოვა სული წარსწყმიდა;
იქიდამა ხარ ეგრე ბოროტი,
ამოსაგდებ ხარ, როგორც ბოლოკი;
ამისთვის ვნახავთ იმ ლამაზ დროსა,
ძირზე მოიფხვრა ვერ ზდიდე შტოსა;
შემდეგ არ იქმნეს სახელი შენის,
ამის ღირსი ხარ და ესე გშვენის.

მ. ა. შ.

მორწყვა და მომშრალება ნახნავებისა ჩინეთში *)

ჩვენ გაზეთში ყოველთვის ვაძლევთ ადგილს ჩინეთის სოფლის სახლოსნობის ამბებსა. ამას იმიტომ კი არა, რომ ვითომც ჩინეთში ძალიან მაღლა იდგეს სასოფლო სახლოსნობა ან სამუშაო იარაღები კარგის ღირსებისა ჰქონდეთ. ევროპაში ბევრი იარაღები არიან სახლოსნობისა იმ გვარნი, რომ ჩინეთში აზრათაც არ მოსვლიათ. აქ ხვნა თესვაც ძალიან წარმატებაში არის. მაგრამ ჩინეთის სახლოსნობა იმით არის შესანიშნავი, რომ მხოლოდ შრომით მიეყვანათ უკეთეს მდგომარეობაში მიწის მუშაობა და შეუგნიათ კიდეცა დიდი მნიშვნელობა ამა საქმისა.

მაგალითად ავიღოთ მინდვრების მორწყვა და მომშრალება.—აი რას ამბობენ იქაურები მწერალნი ამ საგანზედ: „ჩვენს მხარეს ყოველ წელს რწყავს ცა მთელი ორი სიცხიანი თვეების განმავლობაში ხშირის კოკურის წვიმებითა; ეს წვიმები მალმალ იცვლებიან მოწმენდილი მზიანი ცითა. აქ როგორცა ხედავთ მორწყვაც არის და მომშრალებაცა. რაღა საჭირო არის კაცის მხრით ამაზედ ზრუნვა. მაგრამ ასე არ არის: გაუწყვეტელი წვიმები და გვალვა—ეს ორივე მავნებელნი არიან ცის ნებითა, მაგრამ კაცის ნებასაც შეეძლო წინააღმდეგობა ამათი. რათ უნდა ვიყვნეთ ბრმა მომლოდინე შემთხვევისა? რათ უნდა დავაგდოთ შემთხვევის ნებაზედ ბედი მხვნელმთესველისა, რომ შემთხვევამ გაანადგუროს ყოველი იმისი მოსავალი? ეს მოსავალი მთელს სახელმწიფოს აცხოვრებს. რათ უნდა გაუშვათ მოსავალი იმ ბოროტებათა ქვეშ, როგორნიც არიან გვალვა და წყლის სიჭარბე ნახნავისათვის; რათ უნდა გაუშვათ მოსავალი ბუნების ჟინიანობის ქვეშ.? ძაცს ძალიან ადვილად შეუძლიან წინააღმდეგობა ბუნების ჟინიანობისა, ამიტომ რომ თუმცა ერთის მხრით უზნევია ცას კაცისათვის, მეორის მხრით მიუცია მიწაზედ ბუნებითი წყლები, რომელნიც შეუძლიან მოიხმაროს როგორც თითონ მოისურვებს. თუ მხვნელ მთესველმა მოხნა მიწა, გაასუქა, დათესა,—ნუ თუ იმას ვერ შეუძლიან მოამზადოს მიწა მოსაველის მოყვანისათვის? ნუ თუ ვერ მისცემს საკმაო სისველესა რომ მიწამ იცხოვროს? როგორც კაცის სხეული ვერ გასძლებს უსისხლოთა და მოკვდება, აგრეთვე მიწა უწყლოთა. როგორც სისხლის უმრავლესობა სხეულში სწყენს და ჰკლავს კაცსა, აგრეთვე წყლის სიჭარბე მინდორსა. მართლაც როგორც კაცის სიმრთელი-

*) წინეთ დროებში ნასყიდობის წერილებში სწერდნენ: (მე ამა და ამ) თავადმა, ანუ აზნაურმა გიწყალობე, ანუ მოგყიდე შენ ჩემს ყმას (ამას და ამას) (ესე და ესე ადგილი) და ქრთამიც სრული მივიღე.

*) ჩვენ ვიღებთ მასალებს ამ სტატიისათვის უ. სკაჩკოვისაგან, რომელსაც ბევრი ხანი დაუყვია აზიაში და იქ უნახავს ყოველის მხრიდგან ჩინეთისაცა და სხვა აზიის ხალხის სასოფლო სახლოსნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთვის არის საჭირო, რომ სისხლი უბრუნავდეს კარგად, აგრეთვე ნახნავისათვის არის საჭირო, რომ სისველე ზომიერად ჰქონდეს. როგორც კაცი კარგათ არის სისხლის კარგათ ტრიალითა, აგრეთვე მთელი სახელმწიფო მაშინ არის კარგს მყოფობაში, როდესაც იმ სახელმწიფოში აქვსთ მზრუნველობა მინდერების კარგად მორწყვისა და გაშრობისათვის. მაშინ მთელი სახელმწიფო, იმისი ხალხი და საზოგადოების წყება მთელი და კმაყოფილი არის ყოველის მხრიდგან.

მაგრამ ამგვარი საქმე არ შეუძლიან ერთს კაცსა და არც ერთს რომელსამე სოფელსა. ამ საქმეში ხალხს ყოველთვის უნდა ჰქონდეს შეწევნა მმართებლობისაგან თუ რძევითა, თუ ფულითა. ამაზედ შეგვიძლიან დაერწმუნდეთ მოკლე განხილვით ჩინეთში არხების გაყვანის ისტორიითა.

ბადმოცემა ამბობს, ქრისტეს დაბადების 2000 წლის წინ ჩინეთში მოხდა საშინელი უბედურებაო. მაშინ წყლები ადიდდაო, ასე რომ მინდერები აივსო წყლებითაო. ამ დროს ხელმწიფე შუნმა მიანდო თავის მინისტრს უის წყლების გადაგდებაო. ამან გასჭრა არხები, ამოთხარა დიდრონი ჭაუზები. ზოგი არხი მდინარებში შეიყვანა და ამითი დააშრო წყალიო. რადგანაც უიმ მოარჩინა ხალხი უბედურებისაგან, ამიტომ ის ხალხმა დაანიშვნინა შუნს ტახტის მემკვიდრეთ. არ იქნებოდა მომატებული შენიშვნა, რომ ეს უი ფრანგების მისიონერებმა მიიღეს ნოეთ და პაპს აცნობეს: „ჩინეთის ისტორიაში არის ნამდვილი ცნობა წარღვნაზედაო, სადაც ნოეს სახელი არის გამოხატული ხალხის დამცველად უბედურებისაგანაო. ამ მისიონერებმა ის კი ვერ გაიგეს, რომ ეს უი სრულებით ნოეს არა ჰგვანდა და ამაზედ მოთხრობა სულ სხვა გვარი იყო). მეათე საუკუნიდგან, ქრისტეს წინ, არიან ნამდვილნი დამტკიცებანი, რომ მმართებლობამ დააწესა თანამდებობანი, სახელად წყლის მზეერელნი, რომელთა მზრუნველობა იმაში იდგა, რომ მოეყვანათ მდინარები იმ მდგომარეობაში, რომ ხალხს ადვილად მოეხმარებინა ყველა დაჭირებისამებრ. ქრისტეს დაბადებიდგან ერთი საუკუნის წინ, ისტორიკოსები დაწერილებით მოგვითხრობენ იმასა, თუ სად ან რა აზრით გაუტანიათ არხები, სად გაუკეთებიათ ტბა; სად აუმაღლებიათ წყლის პირი, აუგიათ ხიდი. ამავე დროს იხსენება ერთი ოლქის მბძანებელი (უფროსი), რომელმაც დასწერა ვრცელი წესდებულება წყლის ხმარებაზედ, რომლის შემდეგ მოიშალა მრავალი დავა. შემდეგ დროებშიაც მმართებლობას არ მოუშლია მზრუნველობა მორწყვისა და მომშრალებისათვის, ასე რომ ყოველი საუკუნე არის შესანიშნავი სხვა და სხვა არხების გატანითა და ტბების ამოთხრითა. ამიტომაც არის ახლა ჩინეთში ეს საქმე გამართული ასე მშვენიერად და ხალხის სასარგებლოდ.

ახლა გავსინჯოთ ნახნავების მდგომარება ჩინეთში. აგიღოთ მაგალითად ჩინეთის შუა გულის მოსარწყავი საშუალება. აქ არხები უცხოთ არიან მომართულნი, ასე რომ მთებიც კი ირწყვებიან. აქედგან მიდის პეკინში მილიონი საცალო ბრინჯი და სხვა გამოსავალის საგნები, რომლითაც იკვებება ჯარი და სამოქალაქო თანამდებობა სახელმწიფოსი.

ჩინეთელებსა აქვსთ ვრცელი წიგნები, რომლებშიაც არის დაწერილებით აღწერილი ადგილის მდებარება ყველა უეზდისა, იქაური წყლები, წყაროები, ტბები. ამგვარის აღწერით და ცოდნით ნახევარი შრომა თავდება. ამის შემდეგ იმათ უადვილდებათ ყოველი ადგილისა და წყლის სასარგებლოდ მოხმარება. ამ აღწერისა და გამოკვლევის შემდეგ შეადგინეს პროეკტი ორი ერთათმყოფი გუბერნიებისა მორწყვისათვის. ეს გუბერნიები არიან ჩჟენზანი და ანხოი. აქ არხები გაიტანეს საერთოდ ორივე გუბერნიების ხალხმა; მხოლოდ დარიგება და ფული მმართებლობისა იყო და შრომა ხალხისა. ეს იყო მეათე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ, როდესაც მეფობდა ჩინეთში სენის გვარი. ამ დროს გაიტანეს მრავალი არხები ერთმანეთში გადაბმულნი და ისე სახერხოდ მოაწყეს, რომ ყოველი სოფელი, ყოველი მამული ირწყვებოდა და იმავე არხებით შრებოდა. ეს ახლაც შეუცვლელად არის დარჩენილი.

ჩინეთის არხები არიან მომართულნი ასე: ჯერ რამდენიმე დიდრონი არხები გააქვსთ. წყლის დენა არის დაკვლაკნილი. ოხრიან იქით, საითაც ადგილის მდებარება აჩვენებთ. ამ დიდრონი არხებიდგან არიან გატანილნი წვრილი არხები, რომელნიც დადიან ნახნავებში და მერე ისევ დიდრონ არხებში შედიან.

ჩინეთელებმა ძალიან კარგათ იციან არხების გატანა. რაკი შეიტყობენ ადგილების სიმაღლესა, მერე აძლევენ მცირედს დაბრუნებასა, ასე რომ არცკი სჩანს წყალი. დაბრუნებულ მიდის, თუ სწორეზედ. ამ გვარად გაჰყავთ წყალი ძალიან გძელს არხებში. ბარდა ამისა ჩინეთლები კარგი მეხანიკები არიან. ეს შეიძლება ენახოთ მაშინ, როდესაც იმათ გაჰყავთ წყალი იმ გვარ ნახნავებზედ, რომელნიც რუზედ მაღლა არიან: ან გორაკზედ, ან მთაზედ, საცა წყალი არ არის და აქვსთ ქვეიდგან; ანუ როდესაც უნდათ ხევზედ გადატანონ წყალი. ამ შემთხვევებისათვის ჩინეთლები ჰმართავენ წყლის ასაწევს მაშინებსა და ხიდებსა და რუებსა. ამ რუებს ყოველთვის ინდოთურს ლერწმისაგან აკეთებენ.

წყლის ასაწევი მაშინები ჩინეთლებს აქვსთ რამდენიმე გვარი. პირველი სულ უბრალო მაშინა ის არის, რომ ორს მუშას უჭირავთ გძელი თოკები კალათებითა; სდგანან აქეთ იქით. ჩაუშვებენ კალათას რუში; მერე რომ აივსება, მაშინვე გასწევენ თოკებს თავიანკენ და კალათა ზევით ამოიწევა. წყალს ასხმენ ან ნახნავის არხში, ან სხვა წყლის შესანახავს ადგილს; ეს ძალიან ძნელი მუშაობა არის. მეორე მაშინა აი, ამგვარია: ორი ბოძი ურჭვია ერთმანეთთან ახლო; შიგ არის გაყრილი ხე, რომელშიაც გაყრილია ერთი წვერიდგან გძელი და მეორედგან მოკლე ლატანი. მოკლე წვერზე აბია მძიმე ქვა, გრძელზე კალათა. კალათას უშვებენ არხში, და რომ ივსება, მერე ქვის სიმძიმე ეწევა მაღლა სავსე კალათას. მერე წყალს სცლიან ნახნავის არხში ან წყლის შესანახას ადგილას. კიდევ სხვა მაშინები არიან ჩინეთში. დიდს ჩარხს გარშემო არიან მიბმულნი ხის კასრები. ამ ჩარხის ერთი პირი ძევს წყალში. მერე მუშები ატრიალებენ და კასრებით წყალი ამოაქვსთ ზეითა. მუშა ადგამს ფეხს კასრსა და რომ დაიწევს, მერე მეორეს შეადგება; ამგვარად ატრიალებს ჩარხსა, ზოგჯერ ცხენებს აბმენ ჩარხის დასაბრუნებლად. მაშინ ახმარებენ კბილებიან გორგოლაჭებსა. აქედგანა სჩანს, რომ ჩინეთლები არა ზოგვენ არც შრომასა და არც დროსა, ოღონდაც იმათი ნახნავი მოირწყოს.

ჩინეთელი მიწის მხვნელი, ერთის სიტყვით, თავის ნახნავს არას დროს უწყლოთ არ დაგდებს. თუ იმისთანა ადგილი შეხვდა, რომ წყალი ვერ მიუდგა საითმე არხიდგან, ან მაღალი მთა არის, ან სხვა ძალიან უხერხო

ადგილი, მაშინ ეძებს ადგილს ჭის ამოსათხრელად. ადებს მიწას ყურს, წვება ზედ, და თუ იმისმა გამოცდილმა ყურმა გაიგონა ქვეით წყლის ხმა, მაშინვე სთხრის მიწასა. ჯერ ორ ადლამდე ამოსთხრის; ჩაჯდება შიგ და დაიხურავს ზედ ჭილობსა. ამ გვარ სიბნელეში უყურებს ძირს და თუ დაინახა, რომ ორთქლი ამოდის, მაშინ ეს ცხადი ნიშანი არის, რომ ქვემოთ წყარო არის. როდესაც თვალს ვერ ენდობა, მაშინ ორმოში ურჭობს ჯოხსა, რომელზედაც აცვამს ან ბრტყელს სპილენძის ნაჭერსა, ან აგურის ნაჭერსა, ანუ ცხვრის მატყლსა; ამას ზეიდგან ხურავს ჭილობსა და ზედაყრის მიწასა. მერე ერთ ღამეს გამოუშვებს და მიავა ნახავს: თუ სპილენძზე, აგურზე, ან მატყლზე არის წყლის წვეთები, მაშინ ეს ცხადი ნიშანია ქვეშ წყლის ყოფნისა. ჩინეთლები ჭისათვის წყალს პოულობენ სანთლითაცა; ორი არშინიან ორმოში ანთებენ სანთელსა და უყურებენ: თუ ალი სწორედ არ ამოდის და აქეთ-იქით იხრება, მაშინ ჩინეთლებს რწამსთ, რომ ქვეშ წყალი არის.

ჩინეთში არიან ხელოსნები, სახელად ინ—ან—ჟენ, რომელნიც თითქმის შეუცდომელად ასწავლიან ხალხსა: სად ამოვა წყალი და სად არა. ამასთან ეუბნებიან კიდეც რამოდენი სიღრმე ექნება ჭასა.

ჩინეთურად მორწყვა არ არის ძნელი. ისინი ცდილობენ, რომ მორწყვის დროს წყალმა არ წაიღოს თან სასუქი და მიწა არ გარეცხოს. ამისთვის ისინი ნახნავებს ჰყოფენ რამდენიმე კვლებად, რომელსაც ეძახიან ცი; სიგანე კვლისა არის ორ საჯენამდე და სიგძე შვიდამდე. ყველა კვლებს გარს აკრავს კედლები დატკეპნილი მიწითა, ერთი ჩარექისა, ანუ ნახევარ არშინის სიმაღლე. ამ კედლების შუაში მიდის წვრილი არხები. ნახნავს როდესაცა რწყვენ, მაშინ ყველა კვალში ცალცალკე უგდებენ წყალსა. წყალს რომ მიუგდებს დიდი არხიდგან ნახნავის კვლებში, მაშინ მუშა სდგას რკინის ნიჩბითა და წყალს აყენებს არხში პირველ წვეილ კვალთან; მერე გაუჭრის კედელს და შეუშვებს ერთს კვალში. წყალი შედის კარებში და დგება კვალში ასე რომ კედლებიდგან არსად გადის. როცა პირველი კვალი საკმაოდ მოირწყვება, მაშინ მუშა კარებს შეუკრავს. მერე წყალს ეუღებს გზას მეორე იმის პირდაპირ მყოფს კვალში და ამასაც ამ გვარად მორწყავს. როდესაც წყვილი კვალი მოირწყვება, მუშა მაშინვე გახსნის შეკრულს არხსა და მაშინვე შეჰკრავს მეორე წყვილ კვალთან. ამ მეორე წყვილსაც ისე მორწყავს, როგორც პირველსა. მერე შეუდგება მესამე წყვილსა, მეოთხე წყვილსა და ასე გაჰყვება ბოლომდინ.

ჩინეთელებმა იციან რომელი მცენარე რამდენჯერ და რამდენათ უნდა მოირწყოს. იმათ ენაში არის „სრული მორწყვა მიწისა“ და „ნახევრად მორწყვა“. თუ კვალი აავსეს წყლითა და მაშინვე შეუკრეს გზა, ეს ნიშნავს ნახევარ მორწყვასა. როდესაც სრულად უნდათ მორწყონ, მაშინ აავსებენ კვალსა, დააცდიან რომ მიწამ დაიშროს; მერე კიდევ მიუშვებენ; როდესაც მიწა აღარ შეიშრობს წყალსა, მაშინ სჩანს, რომ სრულებით გაძღა. წვანილეულს ყოველ დღე რწყვენ. სულადისათვის გადაკვეთილი აქვსთ რამდენჯერაც უნდა მორწყვა: პირველად თესვაზე ერთის დღის წინა რწყვენ, მეორედ როცა ყანა აიწევს მუხლზე; როცა თავთავს იკეთებს; როცა ორსულათ არის. ორსულობის დროს ჩინეთლები ცდილობენ, რომ ყანა მორწყონ სრულად—გაძღომამდე, და მესამე ანუ მეოთხე დღეს კიდევა რწყვენ. შემოდგომის ყანას რწყვენ გაძღომამდე იმ დროს, როდესაც იწყება პირველი ყინვები. ბოლოს ცდილობენ, რომ ყანა საღამობით მორწყან, როცა მზე ჩადის; ამითი ჩინეთელნი პატივობენ ყანას მავნებელი მწერთა (მატლი) დახვევისაგან. ჩინეთლები თავიანთ ყანებს ღამით უფრო სიამოვნებითა რწყვენ.

როდესაც უნდათ გააშორონ ნახნავი, მაშინ მეორე მხრიდგან აღებენ კვლის კარებსა და წყალი ჩადის არხში. ნახნავს შემდეგს შემთხვევაში აშრობენ: როდესაც კოკური წვიმები მოდის, და როდესაც ნახნავში ახლად არის მოსული მცენარე, რომელსაც ეშინიან მომატებული წყლისა.

ჩინეთლები საცა კი ნახვენ ბუნებითს წყალსა, იქ მაშინვე დაიწყებენ მიწის შემუშავებასა. ხანდისხან ისეთ მაღალსა და ციცაპს მთებზედ აკეთებენ ნახნავებსა, რომ კაცის ფეხი ვერცკი მიუდგება. აქ აკეთებენ მიხრილ-მოხრილს, კიბეებივით გზებსა და ზედა ხვნენ. შორიდგან რომ შეხედოთ ამ ნახნავებს, გზები ერთმანერთს ეკვრებიან და წარმოადგენენ მშვენიერს მწვანე ხავსივით კედელსა. რომ უნაყოფო მთებზედ ჩინეთლების ნახნავები მოსაველიანი გახდნენ, ამისათვის ეძებენ მთაზე წყაროებსა. თუ იპოვეს ერთი ანუ რამდენიმე წყარო, მაშინ ნახევარი საქმე გაკეთებული აქვსთ. ამ წყაროებს შეაერთებენ და თავიანთ კიბეებს მისცემენ იმ გვარ მომართვასა, რომ ადვილად და სრულად მოირწყონ, აგრეთვე თუ წყლის სიჭარბე იქნება, მომეტებული გადუშვას. წყაროების ახლოს ჩინეთელი არ ივიწყებს, რომ გააკეთოს ჰაუზი. დახლართულს გზებს, ნახნავს, ჰყოფენ აგრეთვე კვლებად.

ზოგჯერ ჩინეთელები, წყლის სიყვარულით, ჰყრიან მდინარეებში ტივებსა, ზედ ჰყრიან მიწასა და იმაზედ სთესვენ. თუ ხეები არა აქვსთ ტივის შესაკრავად, მაშინ ტირიფისა, ანუ ჭერმის ლასტებს სწვნენ, ერთმანერთზედ აკვრენ, ასე რომ ადლი სისქე მაინცა ჰქონდეთ და ჰყრიან წყალში. ამ გვარი ტივები ჰგვანან კალათებსა, რომელსაც თოკით აბმენ წყლის პირზედ.

ტივებზედ აყრიან წყლის შლამსა და ამითი აკეთებენ მიწასა. ამ მიწას ასუქებენ ჩალის ნაცრითა, გაჭყლეტილი ბაყაყებითა, ლოკოკინებითა, მკვდარი თევზებითა და სხვ. ამ ტივებს ეძახიან მცურავ ნახნავებსა. მცურავი ნახნავების აღწერაებში ჩინეთლები გულწრფელად მოგვითხრობენ, რომ იმათ არ ეშინიანთ დახრჩობისა და არც გვალვისაო, რადგანაც წყალს თუნდ მოემატოს თუნდა დაკლდეს, ნახნავი მაინც წყლის პირზე რჩება. აგრეთვე გასართობელი არიან მოთხრობანი იმისი, თუ ჩინეთლები როგორ გადადიან ერთი ადგილიდგან მეორეზედ თავიანთი ნახნავებითა; ისინი მოგზაურობენ, გადადიან ერთი მდინარიდგან მეორეზედ; თავიანთი სახლებიც თან მიაქვსთ, ცოლშვილიც, მეზობლებიცა.

ორი უკანასკნელი ამბავი: მთებზედა და მდინარეებზედ ნახნავების გაკეთება თუმცა ზოგჯერ უმიწობითაც მოხდება ხოლმე ჩინეთში, სადაც რვა ასი მილიონი ხალხი სცხოვრობს, მაგრამ ბევრი წილი კი წყლის სიყვარულითა მოხდება ხოლმე. ისინი იშვიათად მუშაობენ მოურწყავს ადგილებში. ეშინიანთ, რომ შრომა ტყუილათ დაგვეკარგებაო. მართლათაც კაცი ყოველთვის უნდა ერიდოს თავისი საქმის შემთხვევაზედ მიგდებასა და უნდა ცდილობდეს

ყოველთვის მისცეს თავის საქმეს მკვიდრი საფუძველი.

დასასრულში ვიტყვით, რომ არამც თუ მარტო ჩინეთლები არიან იმ აზრისანი, რომ ნახნავს უთუოთ წყალი უნდა ჰქონდესო, არამედ მთელი აზიის ხალხი ძნელათა სთესავს ურწყავში. ჩვენში ახლაც ბევრი მოწმობანი არიან, რომ ყიზილბაშები ცდილობდნენ გაეტანათ მინდვრებში არხები და ამითი აემაღლებინათ გამოსავალი და თვითონ ფასიცა იმათი მიწებისა. ზარდა ამისა ხალხიცა მრავლდება იმ ადგილებში, სადაც სარწყავი მიწები არის და უფრო სიმდიდრეში არიან. თუ მინდვრებში არხები არ არის გაყვანილი რომელსამე მხარეში, იქ თავის დღეში ხალხი დიდს სიღარიბეში უნდა იყოს. ახლა ჩვენში წყლები ისე მდინარებენ, რომ არაფერს სარგებლობას არ აძლევენ ხალხსა. ზოგი ერთი იმათგანი რწყვენ მინდვრებსა და ვენახებსა, მაგრამ ძალიან ცოტა არის ამ გვარი წყალი, და ისიც ბუნებით არიან ამ გვარად მომართულნი. ადაცის ხელი კი აქ ჯერ არ შესტყობია.

ლ. ს.

განცხადება

ვაცნობებთ იმა პირთა, რომელთაც აქვსთ, ანუ ექნებათ, საქმეები ქუთაისის გუბერნიის მომრიგებელ სასამართლოებში, ანუ თვით ქუთაისის ოლქის სასამართლოში (ოკრუჟნის სუდში), რომ ჩვენ ვიღებთ ჩვენს თავზედ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებსა და ამ საქმეების ზემოხსენებულ სასამართლოებში დაცვასა.—ადრესი: ქ. ქუთაისს ოლპირის ქუჩა, სახლი უფ. ალექსი ღოლობერისისა.

ლუარსაბ ლოლუა.
დავით აბდუშელიშვილი.

საბიბლიოგრაფიო ცნობა.

ისყიდება მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში

ჩოლგური.

ლექსების კრება

ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძისა ა. წერეთლისა და სხვა მწერლების,

გამოცემული კ. ლორთქიფანიძისაგან.

ფასი ერთი მანეთი.

განცხადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სასოფლო გაზეთის“ გამოცემაზე

1869 წელში.

მომავალს 1869 წელს „სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა იმავე პროგრამმით, როგორთაც ამ წელს გამოიცემოდა

ხელმოსაწერი ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში ერთი წლისა ოთხი მანეთი; გაუგზავნელათ სამი მანეთი;

სასოფლო სასამართლოებისათვის გაგზავნით სამი მანეთი. ნახევარი წლისა გაგზავნით ორი მანეთი; გაუგზავნელათ ერთი მანეთი და ათი შაური, ერთი ნომერი ორი შაური.

„სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ ხუთშაფათობით.

ხელი მოიწერება.

ტფილისში „დროებისა“ და "სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით;

Въ Тифлисъ. Въ Контору Редакціи „Сельск. Газеты“ при Типографіи Меликова. и Ко.

ამასთანავე იბეჭდება თვითონ გაზეთის პროგრამმაცა

პროგრამა

„სასოფლო გაზეთისა“

„სასოფლო გაზეთში“ იქნება შემდეგი ნაწილები

I ოფიციალური ნაწილი:

მთავარობის განკარგულება, რომელიც განსაკუთრებით შეეხება სასოფლო სამმართველოთა.

ა) განკარგულებანი, რომელნიცა სასოფლო სამმართველოთა უნდა აღასრულონ.

ბ) განკარგულებანი, რომელნიცა უნდა აცნობონ სასოფლო სამმართველოთა, რომ იმათ ხელსამძღვანელთ შეიქმნან.

II. არა-ოფიციალური ნაწილი:

1. სამეურნეო ცნობანი. ამ ნაწილში დაიბეჭდება იმისთანა სტატიები, რომელნიც შეეხება სხვა და-სხვა სამეურნეო ნაწილის. მაგალითად: მიწის მუშაობას, ბოსტნის კეთებას, ღვინის მოყვანას, პირუტყვის მოშენებას და სხვ. სასოფლო ვაჭრობის, აღებ-მიცემობის და ოჯახობის მაჩვენებელი სტატიები.

2. სახალხო მედიცინა (მკურნალობა). აქ დაიბეჭდება ისეთი სტატიები, რომელშიაც იქნება დარიგება, თუ როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა, რომ სიმრთელით იყოს, აგრეთვე იქნება ნაჩვენები ისეთი ექიმობა სხვა და სხვა ავათმყოფობაზე, რომ თვითონ ხალხსაც უექიმოთაც შეეძლოს ზოგიერთ ავათ მყოფობის მორჩენა.

3. ამბავი სასოფლო ხალხის ცხოვრებაზე: აქ დაიბეჭდება ამბები, თუ როგორ მიდის სასოფლო გამგეობა ჩვენს ქვეყანაში, სახალხო შკოლებზე, პურის მალაზიებზე, ბანკებზე; აგრეთვე კორრესპონდენციები, და მოთხრობა სოფლის ხალხის ცხოვრებიდგან.

4. სხვა და სხვა ცნობა. წვრილმანნი ხალხის გასაგებნი სწავლანი, რომელთაც ექმნება მხოლოდ ის განზრახვა, რომ ხალხს ამოა-მორწმუნება და ცუდი ჩვეულება მოაშლევინოს.

5. სახაზინო და კერძოობითი განცხადება.

რედაგტორი და გამომცემელი ბ. წერეთელი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го генваря, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაკტორი და გამომცემელი ბ. წერეთელი.